



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი



სახელმწიფო ენის დეპარტამენტი



გიორგი ახვლედიანის სახელობის  
ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება

**ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი**

**სამეცნიერო კონფერენცია**

**პროგრამა და თეზისები**

თბილისი  
13 აპრილი  
2021

**საორგანიზაციო კომიტეტი:**

პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი

პროფესორი გიორგი ალიბეგაშვილი

ასოცირებული პროფესორი თინათინ ბოლქვაძე

ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი

**რეგლამენტი:**

მოსხენება – 20 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

**სამუშაო ენა – ქართული**

**13 აპრილი**

**11.00 – 11.30**

(ზუმის მონაცემები: <https://zoom.us/j/3731455567>)

## **კონფერენციის გახსნა**

**მისალმებები**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი  
**გიორგი შარვაშიძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი,  
პროფესორი

**ნანა გაფრინდაშვილი**

სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე, პროფესორი  
**გიორგი ალიბეგაშვილი**

**11.30 – 14.30**

**I სხდომა**

(ზუმის მონაცემები: <https://zoom.us/j/3731455567>)

**სხდომის თავმჯდომარე** – ემერიტუსი პროფესორი დამანა  
მელიქიშვილი

**დამანა მელიქიშვილი**

ქართული ენის დღე თუ საქართველოს სახელმწიფო ენის დღე?

**რამაზ ქურდაძე**

ბარბარიზმებისა და ბარბარიზმების ლექსიკონის შესახებ

**თინათინ ბოლქვაძე**

სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის მუშაობა  
2018-2021 წლებში

## **ნანა ტონია**

რეკომენდაციები ანტიკური ხანის საკუთარ სახელთა ქართულ შესატყვისობათა თაობაზე

## **სალომე ოშიაძე**

დისკურსული კომპეტენციის მნიშვნელობისათვის სარეკლამო ტექსტების შექმნისას

## **ნინო შარაშენიძე**

მულტილინგვური სწავლება და განათლების ენა – ცნებათა განსაზღვრისათვის

## **ივანე ლეჟავა**

აბრუპტივი, გლოტალიზებული თუ მკვეთრი?

## **ნინო ეჯიბაძე**

თანამედროვე ქართული მასმედია და თანამედროვე ქართული ენა

## **ნათია ფუტყარაძე**

ქართულის, როგორც მშობლიური ენის, სწავლების ენათმეცნიერული კონცეფცია დიასპორის ბავშვებისათვის

**15.00 – 19.00**

## **II სხდომა**

(ზუმის მონაცემები: <https://zoom.us/j/3731455567>)

**სხდომის თავმჯდომარე** – პროფესორი დარეჯან თვალთვაძე

## **დარეჯან თვალთვაძე**

სახარება-ოთხთავის სტიქომეტრიასთან დაკავშირებული ძველი ქართული ტერმინები

## **ირინა ლობჯანიძე**

დიგიტალური გამოცემა: კოდირება და ვიზუალიზაცია

### **ცირა ბარამიძე**

ირიბი ობიექტის ვალენტობა, მარკირება და უღვლილების დიასტემები იბერიულ-კავკასიურ ენებში

### **რუსუდან ზექალაშვილი**

მყოფადის მწკრივის ერთი სემანტიკური ნიუანსის შესახებ

### **კახა გაბუნია**

ზმნის სტაბილური და ლაბილური კონსტრუქციები ქართულში

### **ნაირა ბეპიევი**

ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული სასკოლო ლექსიკონი

### **რევაზ აბაშია**

ძირნაკლი სიტყვა-ფორმები ქართულში

### **ნინო პოპიაშვილი**

ქართული ლიტერატურის სანყისი პერიოდი

### **ნარი ჩხაბერიძე**

ქართული საღვთისმეტყველო ტერმინ „ჟამისწირვისა“ და „მერმისის“ განსაზღვრისათვის

# თ ე ზ ი ს ე ბ ი

## რევაზ აბაშია

ივანე ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ძირნაკლი სიტყვა-ფორმები ქართულში

ქართულ ენაში დასტურდება ერთგვარად უცნაური წარმოების სიტყვა-ფორმები (ფუძეები), სადაც საწარმოებელ ელემენტებად მხოლოდ აფიქსებია წარმოდგენილი, ხოლო ძირი არა ჩანს. ასეთი ლინგვისტური პარადოქსი, როცა სიტყვა-ფორმა, სხვადასხვა სახის ფუძე თუ ლექსიკური ერთეული ძირის გარეშეა წარმოდგენილი, ვფიქრობთ, უფრო სინქრონიულ დონეზე ან ენის ისტორიის გარკვეულ გვიანდელ პერიოდშია მოსალოდნელი, ვინაიდან ისტორიულად არ შეიძლება არსებობდეს ფუძე ძირის გარეშე – თითოეული ფუძე ხომ ზოგადად ძირეულ ელემენტზე სხვადასხვა აფიქსების დართვით შედგენილი სიტყვა-ფორმაა.

რამდენიმე ძირნაკლი ფუძე გამოავლინეს არნ. ჩიქობავამ და ბ. გიგინეიშვილმა. არნ. ჩიქობავას მიერ გამოვლენილ ძირნაკლ ფუძეებს **მ-ალ-ალ-ი** და **უ-ალ-რე-ს-ი**, ვფიქრობთ, ასეთივე ძირნაკლი ფორმები უდასტურდებათ ანტონიმების სახით: 1. **მ-და-ბ-ალ-ი** და 2. **უ-და-რე-ს-ი**.

ასევე ქვემოთ წარმოდგენილ სიტყვა-ფორმათა ეტომოლოგიური ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს, ეს ლექსიკური ერთეულები მივიჩნიოთ ძირნაკლ ანუ უძირო, ძირის უქონელ ფუძეებად:

3. **ა-ის-ი** (< \*ა-ვლ-ის-ი) და მისი ანტონიმი 4. **და-ის-ი** (< \*და-ვლ-ის-ი);

5. **გა-რე**; 6. **გა-რე-ულ-ი**; 7. **გა-რე-გან-ი**; 8. **გა-რე-შე** (ჩამოთვლილ ფუძეებში ძირითადია **გა-** ზმნისწინი და **-რე** ნაწილაკი, რომელთაც სათანადო სუფიქსაციით ეწარმოებათ განსხვავებული მნიშვნელობებიც, მაგ., 9. **გა-რ-ს-ი** < \***გა-რე-ს-ი**. ამასთანავე, **გა-** ზმნისწინთან ერთად **მო-** და **წარ-** ზმნისწინების დართვით იწარმოება 10. **გა-რე-მო**, 11. **გა-რ-შე-მო** და 12. **გა-რე-წარ-ი** ლექსემები.

ორი ზმნისწინით არის ნაწარმოები ასევე 13. **მი-და-მო**. ასეთივე ძირნაკლ ფუძედ გვესახება გარე-ს ანტონიმი 14. **ში-ნ**, **ში-ნა**; 15. **ში-ნა-ურ-ი**; 16. **ში-გ**, **ში-გა**; 17. **ში-გ-ნ-ით**; 18. **ში-ნა-გან-ი**.

19. უზმნისწინო წარმოების ნიმუშად გვაქვს **ს-ულ** (< \***ს-ლ-ულ** < \***ს-ვლ-ულ**) და ამ ფორმისგან ნაწარმოები სხვა არაერთი ფუძე: 20. **წარ-ს-ულ-ი**; 21. **წა-ს-ულ-ი, მო-ს-ულ-ი...**

საანალიზო ფუძეებში, ჩვენი აზრით, არსად დასტურდება ძირი, მაგრამ, ბუნებრივია, არექტიპებად რეკონსტრუირებულ ფორმებში სათანადო ძირის დაშვება კანონზომიერია. ვფიქრობთ, ასეთ ძირად ძირითადად ვალ ზმნური ძირი უნდა ვიგულისხმოთ, რომლის დაკარგვის შედეგია სწორედ ეს ძირნაკლი ფუძეები.

**ა-/ალ-** და **და-** ზმნისწინთა (წინდებულთა) ოპოზიციური წყვილი ქმნის ანტონიმურ დაპირისპირებას (**აისი — დაისი, უაღრესი — უდარესი...**); მეორე მხრივ, **გა-/გან-** და **ში-** წინდებულებით ნაწარმოებ ფუძეებსაც ანტონიმური მნიშვნელობა უდასტურდებათ (**გარეთ — შიგნით**).

საანალიზო ფუძეთა სხვადასხვა აფიქსად სეგმენტაციისა და სათანადო ძირის უქონლობისა და რეკონსტრუქციის მართებულობის შესახებ ვრცელი მსჯელობა მოხსენებაში იქნება გათვალისწინებული.

## **ცირა ბარამიძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **ირიბი ობიექტის ვალენტობა, მარკირება და უღვლილების დიასტემები იბერიულ-კავკასიურ ენებში**

მოხსენებაში გაანალიზებულია ირიბი ობიექტის ვალენტობისა და მარკირების საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, სადაც უღვლილების მორფოსინტაქსურმა ამოსავალმა სისტემამ განიცადა იერარქიული ცვლილება კლასოვანი, კლასოვან-პიროვანი, პიროვანი და ნულოვანი უღვლილების სახით. იბერიულ-კავკასიური ენებისათვის ამოსავალია პირდაპირი ობიექტის ვალენტობის ასახვა პრეფიქსაციით (იშვიათად – ინფიქსაციითაც) ტრანზიტიული ზმნა-შემასმენლის მქონე სინტაქსურ კონსტრუქციაში (შდრ. პირდაპირ-ობიექტური

უღვლილება ქართულში) და სუბიექტური უღვლილება ინტრანზიტიული ზმნა-შემასმენლის მქონე სინტაქსურ კონსტრუქციაში.

ჩვენი აზრით, ირიბი ობიექტის ვალენტობა არ უნდა ყოფილიყო მარკირებული, ვიდრე უღვლილების მორფოსინტაქსური სისტემა კლასოვანიდან კლასოვან-პიროვანამდე არ გადაინევდა და რიგ ენებში არ ჩამოყალიბდებოდა ოდენ პიროვან უღვლილებად. კლასოვანი უღვლილების ენებში ირიბი ობიექტის (ირიბი დამატების) ვალენტობა არ არის გამოხატული. ის გადმოიცემა უმეტეს შემთხვევაში ლოკატიურ ბრუნვათა ფორმებით, რომელთათვისაც ირიბი დამატების გამოხატვა ფაკულტატიურ ფუნქციას უნდა წარმოადგენდეს, რადგან ლოკატივის ძირითადი ფუნქცია სივრცითი დამოკიდებულების ასახვაა. შევედაროთ, უბრალო დამატებად ქცეული (თანდებულიანი ფორმებით) ირიბი ობიექტი გვაქვს მესამე სერიაში ქართულ ენაში. მოხსენებაში მოცემულია მცდელობა, აიხსნას ირიბი ობიექტის ვალენტობის ასახვის არაერთგვაროვანი ვითარება იბერიულ-კავკასიურ ენათა უღვლილების მორფოსინტაქსური კონსტრუქციების პროსპექტული ანალიზის საფუძველზე. მოხსენებაში გაანალიზებულია იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის პიროვანი (ასევე კლასოვან-პიროვანი) უღვლილების მქონე ენებში ირიბი ობიექტის მარკირების სისტემები და მოცემულია მცდელობა, აიხსნას პირთა განაწილების პრინციპები ირიბი ობიექტური პირის კონტექსტით, აიხსნას ასევე სუბიექტური პირის ნიშნებისა და პირდაპირი ობიექტური პირის ნიშნების გამოყენების თავისებურებანი ( $S_2O_3$ ) აგლუტინაციის პრინციპის დარღვევის კონტექსტით.

მოხსენებაში გაანალიზებულია იბერიულ-კავკასიურ ენებში ირიბი ობიექტის გამოხატვის მორფოსინტაქსური რეინტერპრეტაციები უღვლილების სისტემათა დიაქრონიული ცვლის შედეგად; მოცემულია მცდელობა, აიხსნას ქართული ენის პირდაპირ-ობიექტური და ირიბ-უღვლილების პარადიგმა დანარჩენ იბერიულ-კავკასიურ ენებთან მიმართებაში.



## **ნაირა ბეპივი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული სასკოლო ლექსიკონი**

**(საკვანძო საკითხები)**

საქართველოში ოსური ენის სწავლებას დიდი ხნის ისტორია აქვს. მიუხედავად ამისა, დღემდე არ არსებობდა ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული სასკოლო ლექსიკონი. უნდა აღინიშნოს, რომ წლების განმავლობაში ოსური ენა ისწავლებოდა მხოლოდ რუსულ სკოლებში. ასეთ სკოლებში იყენებდნენ რუსულ-ოსურ და ოსურ-რუსულ ლექსიკონებს. აქვე უნდა დავამატოთ, რომ იმ რუსულ სკოლებში, რომლებშიც ოსური ენა ისწავლებოდა, წლების განმავლობაში ქართულ ენას, როგორც საგანს, არ ასწავლიდნენ. 2005 წლიდან დაწყებული სკოლების ოპტიმიზაციის შედეგად განხორციელდა გარკვეული რეფორმა. სკოლები, რომლებშიც ისწავლებოდა ოსური ენა, გადაკეთდა ქართულენოვან საჯარო სკოლებად. თუმცა ამისათვის სკოლები მზად არ იყვნენ. იმთავითვე ცხადი იყო, რომ საჭირო და აუცილებელი იყო ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული სასკოლო ლექსიკონი. აქვე უნდა აღინიშნოს, ამ დროისათვის სასკოლო კი არა, საერთოდ ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკონი არ არსებობდა.

2012 წელს პირველად გამოვეცით ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკონი, აკადემიური გამოცემა. მასში შესულია 50 000 სიტყვა-სტატია. წიგნს ერთვის აკად. ვასილ აბაევის ოსური ენის გარამატიკული ნარკვევი და აკად. ავთანდილ არაბულის ქართული ენის გრამატიკის მოკლე ნარკვევი. წიგნს დართული აქვს წინასიტყვაობები, ქართულ და ოსურ ანბანთა ტრანსკრიფცია, შემოკლებანი და, ზოგადად, სამეცნიერო აპარატი.

2020 წელს ჩვენმა ჯგუფმა - ქართველი და ოსი ლექსიკოლოგების, ენათმეცნიერების, ლინგვისტების და სხვა დარგის სპეციალისტების მონაწილეობით - შეადგინა და გამოსცა ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული სასკოლო ლექსიკონი, რომელიც მოიცავს 22 000 სიტყვა-სტატიას.

მოსხენებაში ვიმსჯელებთ ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკონის შედგენის საკვანძო საკითხებზე. ყურადღებას გავამახვილებთ სასკოლო ლექსიკონის შედგენის თავისებურებებზე თანამედროვე ორენოვანი ლექსიკონების მეთოდოლოგიის გათვალისწინებით.

## **თინათინ ბოლქვაძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სახელმწიფო ენის დეპარტამენტი*

### **სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის მუშაობა 2018-2021 წლებში**

სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ძირითადი ფუნქცია სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვა და პოპულარიზაცია, ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენა და დამკვიდრებაა (მუხლი 36). ამავე კანონის საფუძველზე სახელმწიფო ენის დეპარტამენტი შეიმუშავებს და გამოსცემს სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარებისათვის აუცილებელ ნორმატიულ აქტებს. ექსპერტთა კომისიასთან ერთად დადგენილ ქართული სალიტერატურო ენის ნორმებსა და ტერმინოლოგიურ სტანდარტებს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს მთავრობას.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის მუშაობა 2018-2021 წლებში გაიშალა რამდენიმე მიმართულებით:

1. სახელმწიფო ენის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის სრულყოფა (საქართველოს ორგანული კანონი სახელმწიფო ენის შესახებ; საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ)

2. სხვადასხვა ენის ბგერითი სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესების შემუშავება. ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის წესების პრაქტიკულ ღირებულებას განსაზღვრავს ევროკავშირთან, აშშ-სა და სხვა ქვეყნებთან კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო კავშირების წამოწყებისა და გაძლიერებისათვის გამიზნული სხვადასხვა სახის ხელშეკრულების სრულფასოვნად მომზადება. ეს ურთიერთობები იმდენად სწრაფად ღრმავდება, რომ ტრანსლიტერაციის პრობლემების მოგვარება გადაუდებელი საქმე ხდება. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის ნაწილი და ლისაბონის შეთანხმებაში (1958წ.) ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის ნაწილები. ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ენების ბგერითი სისტემების ხელშეკრულებებსა და

მათ დანართებში სრულფასოვნად ასახვის გარეშე ეს შეიძლება იქცეს ხელშეკრულებისა თუ მათი დანართების მრავალგვარი წაკითხვის მიზეზი, რომელმაც, თავის მხრივ, შეიძლება არასასურველ გაუგებრობებს დაუდოს სათავე. საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის პირობებში სხვადასხვა ქვეყანასთან საერთაშორისო პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური და სამხედრო ურთიერთობების გაღრმავების გამო იზრდება იმ ენათა რაოდენობა, რომელთა ბგერითი სისტემების ტრანსლიტერაცია საჭირო ხდება ქართულად და პირიქით. ბევრი ენის, მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხთა ენების ბგერით სისტემათა ტრანსლიტერაცია ქართულ ენაზე დაფუძნებულია რუსულში შემუშავებულ წესებზე, რომლის განახლება აუცილებელია საკუთრივ ქართული ფონოლოგიური სისტემის გათვალისწინებით. ამას ემატება ქართულ ენასთან ისტორიული კონტაქტების მქონე ენათა ბგერითი სისტემების ტრანსლიტერაციის აუცილებლობა. ახალმა ვითარებამ წარმოშვა ისეთ ქვეყნებთან ურთიერთობა, რომლებთანაც საქართველოს ისტორიულად ურთიერთობა თითქმის არ ჰქონია. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი მიზნად ისახავს ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიფციის სრული სისტემების შექმნას, რომლებიც ასახავს შესაბამისი ენების მთელი ფონოლოგიური სისტემის კვალიფიციურ ადაპტირებას ქართულ ენაზე და არა ცალკეული ბგერის ან ბგერათა კომპლექსის ქართულად გადმოტანის ან ქართულიდან სამიზნე ენაში გადატანის წესის დადგენას;

3. ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა განახლება და ახალი ნორმების შემუშავება თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთად. სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიამ ასეთი გზა აირჩია: პირველად იმსჯელოს უცვლელ ან შედარებით მცირედ შეცვლილ ნორმებზე (ამჯერად სახელთა ბრუნებისა და ბრუნვათა ფუნქციების ნაწილში) და ამ ფონზე განიხილოს ის სიახლეები, რომლებიც ქართულ სალიტერატურო ენაში იკიდებს ფეხს. ამას გარდა, კვლევის საგანი გახდა უკვე დიდი ხნის მიღებული და დამკვიდრებული ნორმების დარღვევის შემთხვევათა ანალიზი და ის საფრთხეები, რომელსაც ქმნის დე ფაქტო და დე იურე ნორმათა აცდენა ქართულ ენაში. სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის მიერ მიღებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა ერთი ნაწილი დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 ივნისის 394-ე დადგენილებით;

4. მუნიციპალური ტოპონიმისა და გეოგრაფიული ობიექტების მართლწერასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და დამტკიცება, რაც მიზნად ისახავს საკუთარ (პირთა და გეოგრაფიულ) სახელთა სწორად ასახვას სხვა ოფიციალურ დოკუმენტებთან ერთად გლობალური სანავიგაციო კომპანიების პროდუქტებში (ელექტრონული რუკების მობილური და ვებაპლიკაციები, ავტომობილების ბორტკომპიუტერები, სანავიგაციო სისტემები და სხვა) საქართველოს შესახებ გეოგრაფიული მონაცემების სწორ ინტეგრაციასთან. ეს კი, თავის მხრივ, განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციას, ეკონომიკური პოტენციალის გაუმჯობესებას, ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის განვითარებას;

5. სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიამ მიიღო და საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 30 ივნისის 394-ე დადგენილებით დაამტკიცა ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა, რომელიც ეყრდნობა ენათა სწავლის, სწავლებისა და შეფასების რეკომენდაციების საერთოევროპულ ჩარჩოს (The Common European Framework of Reference of Languages: Learning, Teaching, Assessment). იგი მიზნად ისახავს A1 დონიდან C2 დონის ჩათვლით ძირითადი მახასიათებლების ჩვენებას. 2018-2021 წლებში სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის მუშაობის შედეგების დიდი ნაწილი აისახა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მეორე ბიულეტენში (2019-2020, თბილისი).

6. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 სექტემბრის №553 დადგენილებით შეიქმნა 2021-2030 წლების სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამისა (სტრატეგიის) და სამოქმედო გეგმის შემუშავებელი უწყებათაშორისი საბჭო და დამტკიცდა მისი დებულება. სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის წევრები მონაწილეობენ საბჭოს თემატურ სამუშაო ჯგუფებში. სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის 2020 წლის 18 დეკემბრის სხდომა მთლიანად მიეძღვნა სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) მიზნებისა და ამოცანების განხილვას. ექსპერტთა კომისიის წევრებთან ერთად გრძელდება მუშაობა სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლებთან და პროფესიულ ჯგუფებთან.

## **კახა გაბუნია**

*ივანე ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **ზმნის სტაბილური და ლაბილური კონსტრუქციები ქართულში**

მოხსენებაში წარმოვადგენთ ზმნური სინტაქსური კონსტრუქციების ტიპებს თანამედროვე ქართულში; სტაბილურ სინტაქსურ კონსტრუქციად განვიხილავთ დრო-კილოთა სამსავე სერიაში ბრუნვავლელ აქტანტებს; შესაძლებელია, სტაბილური კონსტრუქცია მოეპოვებოდეს როგორც აბსოლუტურ-ერთპირიან, ასევე ორპირიან და სამპირიან ზმნა-შემასმენელს; ლაბილური კონსტრუქციის მქონეა ზმნები, რომელთაც ბრუნვაცვალებადი (დრო-კილოთა სერიების მიხედვით) აქტანტები მოეპოვებათ.

საინტერესოა ირბობიექტური პირის „ქცევა“ სტაბილური და ლაბილური კონსტრუქციის მქონე ზმნებთან: სტაბილური კონსტრუქციის მქონე ზმნებში ირიბი ობიექტი სამსავე სერიაში მიცემით ბრუნვავს; ლაბილური კონსტრუქციის მქონე ზმნების ირბობიექტური პირი კი მესამე სერიაში საერთოდ კარგავს პირის ფუნქციას; შესაბამისად – გამოდის ზმნური კოორდინაციის ორბიტიდან.

## **რუსუდან ზექალაშვილი**

*ივანე ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **მყოფადის მწკრივის ერთი სემანტიკური ნიუანსის შესახებ**

ზმნის დრო-კილოთა ფორმებს ქართულში მრავალი სემანტიკური ნიუანსის გამოხატვა შეუძლია. მათი რეალური დროის დადგენაც კონტექსტისა და საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით შეიძლება.

დრო, როგორც გრამატიკული კატეგორია, საკამათო საკითხია. მეცნიერთა ნაწილი მას მიიჩნევს სემანტიკურ კატეგორიად, რადგან ახლანდელ, წარსულ და მომავალ დრო-კილოთა ფორმებს ქართულ ენაში დროის გამოსახატავად დამოუკიდებელი გრამატიკული ნიშანი არ აქვს. როგორც ცნობილია, მწკრივი ამ თვალსაზრისით პოლისემიურია. მაგ., აწმყოს მწკრივმა, გარდა ახლანდელი დროისა, შეიძლება

გამოხატოს მომავალი და წარსული დროც ან საერთოდ აქ ჰქონდეს დროის გაგება, როცა ზმნის შინაარსი ეხება მუდმივ ან საყოველთაო მოქმედებას; წყვეტილის მწკრივს მეორე პირში, როგორც ბრძანებით კილოს, შეიძლება ჰქონდეს მომავლის მნიშვნელობა და ა. შ.

ქართულ ლინგვისტიკაში საკმაოდ კარგადაა შესწავლილი მწკრივთა სემანტიკური ნიუანსები, მაგრამ შედარებით ნაკლები ყურადღებაა გამახვილებული მყოფადის უნარზე, გამოხატოს წარსული დრო თხრობის დროს. ეს მოვლენა დამახასიათებელია არა მარტო ქართული ენისთვის, არამედ დადასტურებულია სხვა ენებშიც. ასეთ მყოფადს უწოდებენ ე. წ. ნარატიულს ანუ ისტორიულს და ამ შემთხვევაში ვლინდება დრო-კილოთა ერთ-ერთი ფორმის ტრანსსემანტიზაციის უნარი, როგორც ერთგვარი სტილისტური ხერხი. ისტორიული მყოფადი (ანმყოსთან ერთად) გავრცელებულია მხატვრული ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის ენაში, მაგრამ ხაზი უნდა გაესვას მის გავრცელებას თარგმნილ ლიტერატურაში. მთარგმნელი ცდილობს, მაქსიმალურად შეინარჩუნოს ორიგინალის დროითი ფორმები. ისტორიული ანმყოს გადმოსაცემად ის ხშირად იშველიებს ისტორიულ მყოფადს, რათა თავიდან აიცილოს ანმყოს ფორმათა პოლისემიურობა (ზმნისწინის არქონის გამო). ასეთ შემთხვევაში ანმყოს ენაცვლება მყოფადის ფორმები.

სხვა ენების მსგავსად, ქართულშიც ანმყოს ან მყოფადის ფორმები წარსულის მნიშვნელობით სათქმელს მათებს ექსპრესიულობას, დინამიკურობას, ემოციურობას და აცოცხლებს ასახულ მოქმედებას.

## **დარეჯან თვალთვაძე**

*ივანე ჭავჭავიძევის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **სახარება-ოთხთავის სტიქომეტრიასთან დაკავშირებული ძველი ქართული ტერმინები**

სახარება-ოთხთავის თავებად და მუხლებად დაყოფა შედარებით გვიანდელი მოვლენაა. ტექსტის გარკვეული ზომის ერთეულებად დაყოფა და „მკითხველის დამხმარე“ სხვადასხვა დანიშნულების საძიებლების შედგენა ლიტურგიკულ-პრაქტიკულმა საჭიროებამ, სასურველ ადგილთა ადვილად მოძებნისა და კითხვის პროცესის გაიოლებაზე ზრუნვამ განაპირობა. უძველესი ბერძნული ხელნაწერი, რომელშიც სახარების ტექსტი ამონიოს ალექსანდრიელის (III ს.) სისტე-

მის მიხედვით მცირე ნაწილებად არის დაყოფილი, IV საუკუნით თარიღდება. ასევე ადრეულ ხელნაწერებში დასტურდება ოთხთავის ტექსტის ჰარმონიზაციის მიზნით პარალელურ პასაჟთა საძიებლად IV საუკუნეში ევსები კესარიელის მიერ შედგენილი ტაბულა-ცხრილები („ათი კანონი“) და მისი გამოყენებისთვის დაწერილი განმარტება („ევსების ეპისტოლე კარპინეს მიმართ“). ამონიოს სექციების პარალელურად ხელნაწერში ჩნდება ტექსტის კიდევებზე მიწერილი ევსების კანონის რიგითი ნომრის აღმნიშვნელი გრაფიკული ნიშნები, მოგვიანებით კი სახარების ტექსტის უფრო ვრცელ თემატურ ეპიზოდებად დაყოფის საფუძველზე დგება და ოთხთავის ხელნაწერებს ერთვის თავების სია და/ან იესოს მიერ ჩადენილ სასწაულთა ჩამონათვალი. თითოეულ სახარებას ბოლოში ერთვის მცირე უწყება სახარებების ავტორის, დაწერის დროის და ადგილის შესახებ, ზოგჯერ სახარების თავებისა და მუხლთა რაოდენობის მითითებით. ღვთისმსახურების დროს ლიტურგიკული კალენდრის მიხედვით სახარებიდან შესაბამისი მონაკვეთების წაკითხვის პრაქტიკამ მოითხოვა მისი ტექსტის ამ ნიშნით დაყოფა და შესაბამისი საძიებლების შედგენა, რომელიც ასევე ოთხთავის თანმხლებ ტექსტად იქცა.

ოთხთავის ქართული თარგმანის შემცველ ხელნაწერებში მისი ტექსტის სტიქომეტრიასთან დაკავშირებული ტერმინებიც დასტურდება. მათი ნაწილი ტექსტის ცალკეული სეგმენტებს აღნიშნავს, ნაწილი კი ხელნაწერში ამ ნაწილების ვიზუალურად გამოსაყოფად გამოყენებულ მარგინალურ ნიშანთა სახელებია. მოხსენებაში განხილული იქნება სახარების ხელნაწერთა ანდერძებში დადასტურებული რამდენიმე მათგანის მნიშვნელობა და დანიშნულება.

## **ნინო ეჯიბაძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **თანამედროვე ქართული მასმედია და თანამედროვე ქართული ენა**

გასაგებია, რომ მასმედია საზოგადოებაში ინფორმაციის ფუნქციასთან ერთად ერთგვარი ენობრივი ინდიკატორის როლსაც ასრულებს და თანამედროვე სოციოლინგვისტურ სურათზე გარკვეულ გავლენას ახდენს. თავის მხრივ, ენის სპეციფიკის ფორმირება მასმედია-

ში დამოკიდებულია მისი ფუნქციონირების რეალიებზე (უცხოენოვანი მასალის სწრაფი თარგმანის აუცილებლობა, რის დროსაც ხშირად თავიდან ვერ იცილებენ ლექსიკურ, სტილისტურ, სინტაქსურ გავლენებს და მისთ.). თანამედროვე ენაში კი, პრესის ენიდან გადმოდის და მკვიდრდება გარკვეული ტენდენციები. ამ კონტექსტში, ერთმანეთისგან გასამიჯნია: ა) შემთხვევები, რომელთა ინსპირატორია მოცემული ენის შიგნით მიმდინარე პროცესები. სალიტერატურო ენა – როგორც ასეთი – სტანდარტიზებული, ნორმირებული ენაა. თუკი ტენდენცია, რომელიც სალიტერატურო ენის პოზიციიდან შეცდომად აღიქმება, ამავე ენის საფუძველზეა აღმოცენებული – მოვლენის მიმართ დამოკიდებულება რამდენადმე ლოიალური შეიძლება იყოს, შესაძლებელია ენაში მისი დაშვების საკითხზე მსჯელობაც; ბ) შემთხვევები, რომელთა ინსპირატორია უცხო ენა/ენები და რომელთა გავრცელების საფუძველია ექსტრალინგვისტური ფაქტორები, ხშირად – მოცემული უცხო ენის არასაკმარისი ცოდნა.

მოხსენება შეეხება მასმედიის ენიდან თანამედროვე ქართულში შემოსულ ტენდენციებს და მიზნად ისახავს საკითხის დასმას მათი კორექტირების მიზანშეწონილობის შესახებ.

## **ივანე ლეჟავა**

*ივანე ჭავჭავიძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **აბრუპტივი, გლოტალიზებული თუ მკვეთრი?**

სპეციფიკური არტიკულაციის ხორხისმიერ თანხმოვნებთან დაკავშირებული სამეცნიერო-ფონეტიკური ტერმინოლოგია მრავალფეროვანია.

ჭონ კეღფოხღი და ჯოზეფ გინბეჰი **გლოტალური** (glottalic) თანხმოვნების ორ სახეობას გამოყოფენ: **ეიექტივებს** (resp. აბრუპტივებს) და **ინიექტივებს** (resp. იმპლოზივებს). მაიკლ კენსტოვიჩი და ჩაჩღზ კისეხბეჰი **ეიექტივებსა** და **იმპლოზივებს** უწოდებენ **გლოტალიზებულებს**, როგორც გლოტალური ჰაერნაკადის მექანიზმის მეორე ბგერებს.

ლინგვისტურ სტრუქტურათა მსოფლიო ატლასში **გლოტალიზებული** თანხმოვნები (ფართო მნიშვნელობით) დაჯგუფებულია სამ



კლასად, რადგან იან მედისონი ეიექტივებსა და იმპლოზივებთან ერთად გლოტალიზებულების რიგში განიხილავს აგრეთვე ე.წ. გლოტალიზებულ რეზონანტებსაც, რომელთა წარმოთქმისას სახმო სიმები უფრო მჭიდროდ უახლოვდება ერთმანეთს და იცვლება ჟღერის ხასიათი. ტერმინი „გლოტალიზებული“ ხშირად იხმარება **ეიექტივის (აბრუპტივის)** სინონიმადაც. თუმცა ჯონ კეჭფოჩისთვის ეს ტერმინი ორივე გაგებით მიუღებელია: რადგან ინგლისურ ფონეტიკურ ტერმინოლოგიაში *-ized* სუფიქსით ნაწარმოები ზედსართავები ჩვეულებრივ მიანიშნებს არტიკულაციის მეორეულობაზე, მისი აზრით, ამ ბგერების არტიკულაციის ძირითადი კომპონენტისათვის ასეთი შეუსაბამო სამეცნიერო ტერმინის გამოყენება არ არის რეკომენდებული.

ქართული [პ, ტ, კ] ტიპის ბგერათა აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინი გვხვდება: ეიექტივები, გლოტალიზებულები, რეკურსიულები, გლოტოკლუზივები, თანხმოვნები სუპრაგლოტალური ექსპირაციით, დაყოვნებულები, ევულსივები, გლოტალური ეგრესიული თანხმოვნები, გლოტალური წნევის ხშულები. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში იხმარება ტერმინები: ყელხშულები, აბრუპტივები, მკვეთრები, გლოტალიზებულები, ტერმინი „ეიექტივი“ – უფრო იშვიათად თუმცა ევროპულ ენებში მას ეძლევა უპირატესობა.

აღსანიშნავია, რომ 1922 წელს გიოჩგი ახვლედიანმა გამოაქვეყნა პირველი ექსპერიმენტულ-ფონეტიკური გამოკვლევა – „მკვეთრი ხშულნი ქართულში“, ხოლო 1938 წლიდან მანვე დაამკვიდრა ტერმინი „აბრუპტივი“.

მიზანშეწონილია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ტერმინებიდან მხოლოდ ერთი დამკვიდრდეს ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში და ასეთად – სიმარტივისა და მისგან სხვა ტერმინების წარმოების სიადვილიდან გამომდინარე – მიჩნეულ იქნეს ტერმინი „მკვეთრი“. გარდა ამისა, ორივე ტერმინი glottal და glottalic ქართულად უნდა ითარგმნოს, როგორც – გლოტალური (მაგალითად, glottal stop – გლოტალური ხშული, glottalic theory – გლოტალური თეორია).

## **ირინა ლობჯანიძე**

იდიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **დიגיტალური გამოცემა: კოდირება და ვიზუალიზაცია**

ტექსტური და ბიბლიოგრაფიული ვარიაციების დიგიტალური გამოცემა დამოკიდებულია როგორც ხელნაწერის ტექსტის აღწერაზე ამოშლილი, ჩანაცვლებული, აღდგენილი და ა.შ. მონაკვეთების მითითებით, ასევე მეტატექსტურ ინფორმაციაზეც, რომელიც ეხება აღნიშნული ხელნაწერის ავტორისეული ან/და რედაქტორული ვარიანტებს (არსებობის შემთხვევაში). ტექსტის აღწერაც და მეტატექსტური ინფორმაციაც ხდება XML მონიშვნის ნაწილი, რომელსაც ეფუძნება კრიტიკული ონლაინგამოცემა მომზადების პროცესში და რომელიც ტექსტის კოდირების საერთაშორისოდ აღიარებულ ჩარჩოს (Text Encoding Initiative, TEI P5) წარმოადგენს. თუმცა დიგიტალური გამოცემა გულისხმობს არა მხოლოდ ფაილების მომზადებას, არამედ ხელნაწერის ვიზუალიზაციის შესაძლებლობასაც.

სტატიაში განიხილება შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერების დიგიტალური დამუშავების ასპექტები და წარმოდგენილია დიგიტალიზაციის ტექნოლოგიური პროცესის ორგანიზაციის, მეტა-მონაცემების მოგროვების, ტექსტისა და ფოტო მასალის კოდირებისა და ვიზუალიზაციის საშუალებები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მე-14 საუკუნის უნიკალური ხელნაწერის მაგალითზე.

აღნიშნული ხელნაწერი 1911 წელს უორდროპების ფონდმა საეკლესიო მისიონერული საზოგადოებისგან შეიძინა და ბოდლეს ბიბლიოთეკის უორდროპების კოლექციას გადასცა. კრებულის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ 1935 წელს გრ. ფერაძემ გამოაქვეყნა, თუმცა ტექსტი 2019 წლამდე შეუსწავლელი დარჩა.

მოხსენებაში დიგიტალური გამოცემა განიხილება ხელნაწერების კოდირებისა და ვიზუალიზაციის სხვადასხვა სტრატეგიის თეორიული და ტექნიკური ასპექტების თვალსაზრისით.

მოხსენების სტრუქტურა არის შემდეგი: 1. შესავალი და კვლევითი საკითხები; 2. მეთოდოლოგია; 3. თეორიული და ტექნიკური თავისებურებანი; 4. დიგიტალური გამოცემა; 5. დასკვნები.

# **დამანა მელიქიშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## **ქართული ენის დღე თუ საქართველოს სახელმწიფო ენის დღე?**

1. ამ სათაურით გამოქვეყნდა ტარიელ ფუტკარაძის სტატია ქართული ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველოს გაზეთის 1999 წლის N3-ში, რომელიც ქართული ენის დღეს, 14 აპრილს ეძღვნებოდა...

წინა საუკუნის სისხლიან 9 მარტსა და 9 აპრილს შორის უსიხლო 14 აპრილი გამარჯვების დღე იყო, რომელმაც ქართული ენა სსრკ-ში გაერთიანებული საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალურ ენად ცნო.

**დღეს 14 აპრილი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ენის დღეა.**

2. დღეს საქართველო მრავალეროვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა – და მაშინ, როდესაც საერთაშორისო ასპარეზზე გამოდიან და „აკადემიური“ ინტერნეტსივრცე უკავიათ ახალი თაობის უცხოელ „ქართველოლოგებს“, რომლებიც ნებისთუ უნებლიეთ ავრცელებენ ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის საზიანო, არაადეკვატურ იდეოლოგიებებსა და ტერმინოლოგიას, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სინმინდისა და პრესტიჟის გარანტი და დამცველი უნდა იყოს. მისი ვალია ქართველთა დედაენის, ქართული სალიტერატურო ენის, ქართველური სამწიგნობრო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვა.

3. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ტარიელ ფუტკარაძის უზარმაზარი დოკუმენტური მასალის ღრმა მეცნიერული კვლევისა და ანალიზის საფუძველზე შექმნილი ნაშრომები: „ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა“; „ეთნოლინგვისტური ტერმინები და ევროპული ქარტია „უმცირესობათა ენების შესახებ“, „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“, რომელთა გათვალისწინება აუცილებლად მიგვარჩნია „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ რატიფიცირებისას.

## **სალომე ოშიაძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **დისკურსული კომპეტენციის მნიშვნელობისათვის სარეკლამო ტექსტების შექმნისას**

თანამედროვე ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა წარმოუდგენელია რეკლამის გარეშე. სწორედ ამ ფაქტორმა მნიშვნელოვნად გაზარდა რეკლამის სახეობათა რიცხვი. მართალია, თითოეული ტიპი ამა თუ იმ სპეციფიკური ნიშნით ხასიათდება და შეიძლება მომხმარებლადაც განსხვავებულ ჯგუფს გულისხმობდეს, მაგრამ მთავარი მიზანი ყველას ერთი აქვს – განსაზღვროს და მართოს საკუთარ ადრესატთა ქცევა (მოაწონოს და აარჩევინოს კონკრეტული საქონელი თუ მომსახურება, ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად ჩამოუყალიბოს ან გაუფართოოს საზოგადოებრივი ცნობიერება). აღნიშნული მიზნის მიღწევა სათანადო დისკურსული კომპეტენციის გარეშე რთული, ზოგჯერ კი შეუძლებელია.

მიუხედავად იმისა, რომ რეკლამა, გარდა ვერბალურისა, არაერთ კომპონენტს მოიცავს და მის ეფექტურობას ყველა შემადგენლის წარმატებული შერწყმა განაპირობებს, სიტყვიერი ტექსტის როლი მაინც უპირატესია, რაც კიდევ უფრო ზრდის დისკურსული სტრატეგიების შემუშავების მნიშვნელობას.

სწორედ დისკურსია ის, რისი შინაარსი და სტრუქტურა არა მხოლოდ ასახავს ადამიანთა წარმოდგენებს, არამედ თავად ქმნის ერთგვარ რეალობას, რომელსაც ჩვენ მივყვებით და ვემორჩილებით, როგორც გარკვეულ სოციალურ წესს.

თანამედროვე სარეკლამო ტექსტების ანალიზმა ცხადყო, რომ ხშირ შემთხვევაში უგულებელყოფილია რეკლამის, როგორც რთული სოციოლინგვოკულტურული ფენომენის, არსი. სარეკლამო ტექსტმა ადამიანს ქცევა რომ შეუცვალოს – ის ნივთი აყიდვინოს, რომლის ყიდვას არ აპირებდა, იმ მომსახურებით ასარგებლოს, რომელსაც არ იცნობდა ან არ სცნობდა და მისთ. – გარკვეული ქცევითი სტერეოტიპი უნდა შეუქმნას, ღირებულებითი ორიენტირები უნდა გაუმყაროს და, რაც უფრო რთულია, ხშირად ეს ორიენტირები რეკლამის დამკვეთის სასარგებლოდ უნდა ჩაუნაცვლოს კიდევ.

ზოგჯერ ერთ სიტყვას შეუძლია განსაზღვროს სარეკლამო ტექსტის წარმატებაცა და წარუმატებლობაც. ამდენად, ზემოქმედების

მომხდენი ტექსტების შესაქმნელად მხოლოდ ენის მატარებლის ალ-ლო არ კმარა, საჭიროა ენობრივ ცოდნაზე დამყარებული დისკურსული კომპეტენცია, რაზედაც, მაგალითების მოხმობით, უფრო ვრცლად მოხსენებაში ვისაუბრებთ.

## **ნინო პოპიაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **ქართული ლიტერატურის საწყისი პერიოდი**

ქართული ლიტერატურის გენეზისი უკავშირდება ქართულ ფოლკლორულ ტრადიციას, ასევე, ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებას, ქართული ანბანის შექმნას. ამასთან, ქართული ლიტერატურის დასაწყისი განპირობებულია პოლიტიკურ, რელიგიურ, კულტურულ პროცესებთან.

ქართული მწერლობა მრავალსაუკუნოვან ტრადიციას ქმნის, რომელსაც წინ უძღვის ფოლკლორული და მითოსური აზროვნება და მსოფლმხედველობა. უძველეს მითოსურ კულტურას განაპირობებდა წარმართული პანთეონის სისტემა, რომელიც ანტიკური პერიოდის ქართულ ისტორიასა და ფოლკლორში დასტურდება.

ქართული ფოლკლორული და მითოსური ტრადიციები მრავალმხრივ აისახა ქართულ ლიტერატურაში. შესაძლებელია თამამად ითქვას, რომ ქართული ფოლკლორი ასაზრდოებდა ქართულ ლიტერატურას როგორც დასაწყისში, ისე მისი განვითარების ყველა ეტაპზე. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებამ განაპირობა ორიგინალური, ქართული ლიტერატურის წარმოშობა და განვითარება. გამოთქმულია მოსაზრებები, რომ ქართული ენა ჩამოყალიბდა უძველეს დროში, საერთაშორისო ენებთან მჭიდრო ურთიერთობაში. ქართული ანბანის შექმნა და ქართული ლიტერატურის წარმოშობა კი ერთგვარი ალტერნატივაა, რომელიც საერთაშორისო ენებისა და ლიტერატურების პერსპექტივის გათვალისწინებით უნდა დაფუძნებულიყო.

მოხსენებაში ვიმსჯელებთ ქართული ლიტერატურის წარმოშობის საკითხებზე ენის, ანბანის, ფოლკლორისა და პირველი ლიტერატურული ტექსტების მიხედვით. ყურადღებას გავამახვილებთ პოლიტიკურ და კულტურულ გავლენებსა და მათ თავისებურებებზე.

# ნანატონია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## რეკომენდაციები ანტიკური ხანის საკუთარ სახელთა ქართულ შესატყვისობათა თაობაზე

უკანასკნელ ხანებში ჩვენი ქვეყნის ლიტერატურულ ცხოვრებაში ანტიკური მემკვიდრეობისადმი განსაკუთრებული ინტერესი შეიმჩნევა. ნიგნების მალაზიათა თაროები უხვად აწვდიან მკითხველს ევროპული ენებიდან თარგმნილ ძველი ბერძნული მითოლოგიის ბრწყინვალედ დასურათებულ ენციკლოპედიებსა და ცნობარებს, მეცნიერულ გამოკვლევებს და, რაც მთავარია, მხატვრულ ლიტერატურას. მთარგმნელობით პროცესთან დაკავშირებულ სირთულეთაგან განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს ის უზუსტობანი, რაც შეინიშნება ანტიკური ხანის საკუთარ სახელთა ქართულ შესატყვისობებში. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სხვადასხვა გამოცემაში ანტიკურობის ტერმინთა, ტოპონიმთა თუ ანთროპონიმთა სხვადასხვა ფორმაა წარმოდგენილი. ასე მაგალითად: არქონტი//არქონი, აქერონტი//აქერონი, არტემიდა (არტემიდე)//არტემისი, ანაკრეონტი//ანაკრეონი//, პრიამე//პრიამოსი, იუნონა//იუნო, ვენერა//ვენუსი და ა.შ. დაუზუსტებელ ფორმათა სიმრავლე აბნევს, უპირველესად, ბავშვებსა და მოზარდებს, რომლებიც პირველად ეცნობიან იმ მითოლოგიასა და ლიტერატურას, თანამედროვე ევროპული ცივილიზაციის საფუძვლად რომ არის აღიარებული და რომელსაც ძალიან ხშირად მიმართავდნენ და მიმართავენ ახლაც თანამედროვე სიტყვაკაზმული ლიტერატურის შემოქმედები;

ფორმათა დაზუსტების აუცილებლობა დგას იმ მეცნიერებათა წინაშეც, რომლებიც უშუალოდ ეყრდნობიან ანტიკური ხანის წყაროებს;

დაბოლოს, ანტიკური ხანის საკუთარ სახელთა ქართული შესატყვისობების თაობაზე რეკომენდაციების გათვალისწინება მნიშვნელოვანია თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ესოდენ ფართოდ გაშლილი მთარგმნელობითი პროცესისათვის.

მოხსენებაში ვისაუბრებ იმ შედეგებზე, რომლებიც ანტიკური ხანის საკუთარ სახელთა ქართული შესატყვისობების თაობაზე მიზანმიმართულმა კვლევამ ცხადყო და, აქედან გამომდინარე, შევეცდები, წარმოვადგინო ის რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანი უნდა იყოს ამ პრობლემით დაინტერესებული საზოგადოებისთვის.

## **ნათია ფუტკარაძე**

კავკასიის უნივერსიტეტი

### **ქართულის, როგორც მშობლიური ენის სწავლების ენათმეცნიერული კონცეფცია დიასპორის ბავშვებისათვის**

ქართულის, როგორც მშობლიური ენის, სწავლება სულ უფრო აქტუალური ხდება ონლაინრეჟიმში. დასაფასებელია ჩვენი თანამემამულეების მცდელობა, ემიგრაციაში ყოფნისას არ დაავიწყონ დედაენა საკუთარ შვილებს. შესაბამისად, დარგის სპეციალისტებისა და საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების ერთიანი ძალისხმევით შეიქმნა ქართულის, როგორც მშობლიური ენის, სწავლების კონცეფცია სკოლამდელი ასაკის დიასპორული ბავშვებისათვის.

კონცეფციის შექმნის იდეა ეკუთვნის საერთაშორისო ფონდ „ათინათის“ დამფუძნებელს – ქალბატონ ნათია ხუნტუას, პროექტის ხელმძღვანელია ფონდ „ათინათის“ დირექტორი, ქალბატონი ნაირა ალავერდაშვილი; კონცეფციაზე მუშაობდა ფსიქოლოგების, მუსიკათმცოდნეებისა და ენის სპეციალისტების გუნდი (სოფიკო ბარამიძე, ცირა ვახანია, ნინო სხირტლაძე, ანა თოდუა, ხატია ჯაჭანაშვილი, თამარ ჟორდანიასა და ნათია ფუტკარაძე) ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. ტარიელ ფუტკარაძის ხელმძღვანელობით.

მოხსენებაში განხილული იქნება პროექტის ენათმეცნიერული კონცეფცია, რომელზე მუშაობაც წინასწარგანსაზღვრული ვადით – 2020 წლის მაისში დასრულდა; პატარებისათვის ქართულის, როგორც მშობლიური ენის, სწავლების საკითხები დამუშავდა ქ. გრენობლის (საფრანგეთი) საკვირაო სკოლისათვის ჩვენ მიერ შედგენილი პროგრამის საფუძველზე, ასევე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ასოციაციის – „ქართველები საფრანგეთში“ – ერთობლივი პროექტის – „ქართული ონლაინსკოლის“ სასწავლო კურსების გათვალისწინებით.

საპილოტე ონლაინპროექტი საფრანგეთის ქალაქ გრენობლის საკვირაო სკოლაში განხორციელდა ასოციაციის – „ქართველები საფრანგეთში“ – დაკვეთით (პროექტის იდეის ავტორები და ხელმძღვანელები – ზაზა ფუტკარაძე და სალომე საძაგლიშვილი); სწორედ გრენობლელი პატარა ქართველების ენობრივი კომპეტენციების განსაზღვრისას წავაწყდით რიგს სირთულეებისას ქართული ენის დონეების განსაზღვრასა და სასწავლო პროგრამის შერჩევასთან დაკავშირებით.

ენობრივ კომპეტენციათა საერთოევროპული ჩარჩო (CEFR – Common European Framework of Reference for Languages) 35-ზე მეტ ენაზეა თარგმნილი, თუმცა აღნიშნული დოკუმენტის სტანდარტული ხასიათის მიუხედავად, მნიშვნელოვნად გართულდა ენის ფლობის დონეთა შეფასება ქართული ენის მცირეწლოვან შემსწავლელთა შემთხვევაში; ამ სირთულეს განაპირობებს ის, რომ ბავშვების ენობრივი კომპეტენციების განვითარება და ენის ცოდნის დონის განსაზღვრა განსხვავდება ზრდასრულთა ენობრივი კომპეტენციებისაგან. საკითხი კიდევ უფრო რთულდება ემიგრაციაში მყოფ ქართველთა შვილებისა და სხვა სახელმწიფოს საზღვრებში დარჩენილი ავტოქთონი მოსახლეობის შთამომავლების შემთხვევაში.

ენის ფლობის დონეთა შეფასებისას ვიხელმძღვანელებთ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბაზაზე მარცა ოძელის ხელმძღვანელობით შექმნილი პროგრამით „ირბახი“ (რომელსაც მოგვიანებით მოჰყვა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა (დამტკ. საქართველოს მთავრობის 394-ე დადგენილებით 2020 წლის 30 ივნისს).

პროგრამა „ირბახის“ მიერ შემუშავებული სტანდარტისა და საერთაშორისო სასწავლო-პედაგოგიკურ სივრცეში არსებულ ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფის შესაბამისი კრიტერიუმების გათვალისწინებით, გამოვყავით შემდეგი დონეები დიასპორული პატარების ენობრივი კომპეტენციების შესაფასებლად:

1.	დამწყების წინარე
2.	დამწყები
3.	დამწყები+
4.	წინა სასკოლო
5.	სასკოლო
6.	სასკოლო+

მოხსენებაში ქართულის, როგორც მშობლიური ენის, სწავლების ენათმეცნიერული კონცეფცია განხილულ იქნება შემდეგი მონაცემების მიხედვით:

1. არსებული სამეცნიერო-სასწავლო ლიტერატურა;
2. ასოციაციის – „ქართველები საფრანგეთში“ – ორი პროექტი, კერძოდ: ქ. გრენობლის საკვირაო სკოლისა და საქართველოს სა-



გარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული „ქართული ონლაინსკოლის“ პროგრამები;

3. ფონდ „ათინათის“ პროექტისთვის შემუშავებული ენობრივი კონცეფცია.

## **რამაზ ქურდაძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **ბარბარიზმებისა და ბარბარიზმების ლექსიკონის შესახებ**

ქართული ენისათვის ერთ-ერთი მეტად საჭირობოროტო საკითხი დღეს ბარბარიზმების მოძალეებაა. ქართული ენის სინამდის დაცვის მიზნით შეიქმნა ბარბარიზმების საინტერნეტო ლექსიკონი, რომელიც ხელმისაწვდომია 2017 წლიდან: <https://barbarisms.ge/> (ბოლოს ნანახია 17.03.21.). ლექსიკონი მომზადდა თსუ ლექსიკოგრაფიული ცენტრის მიერ, რომელსაც პროფესორი თინათინ მარგალიტაძე ხელმძღვანელობდა. ეს ლექსიკონი აღნიშნული ცენტრის მიერ წამოწყებული მოძრაობა „არაბარბარიზმების“ ინიციატივით შეიქმნა, მანამდე კი ამავე მოძრაობის მიერ „ინგლისურენოვანი ბარბარიზმების ლექსიკონი“ შედგა (ამ ლექსიკონის PDF ვერსიაც განთავსებულია ზემოთ მითითებულ საინტერნეტო მისამართზე).

ამ სამუშაოს შესრულებით შეიქმნა მეტად საინტერესო ბაზა, რომელშიც თავმოყრილია უახლოეს პერიოდში შემოსული ბევრი სიტყვა, რომელთაც საილუსტრაციო ნიმუშებიც ახლავს და აქვე შემოთავაზებულია ბარბარიზმის ქართული შესატყვისი. ბარბარიზმების ლექსიკონში წარმოდგენილი მასალა არ არის ერთგვაროვანი, ეს მასალა უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემურ საკითხებს აჩენს ლექსიკოლოგიის თვალსაზრისით, რომელთაგან გამოვყოფთ რამდენიმეს:

1. ბარბარიზმების ლექსიკონში წარმოდგენილი ინგლისურიდან მომდინარე ზოგი სიტყვა აქ მოყვანილი მნიშვნელობების მიხედვით ბარბარიზმია, თუმცა ადრეულ პერიოდში სხვა მნიშვნელობებით უკვე დამკვიდრებულია ქართულში უცხო სიტყვების სტატუსით. ისინი წარმოშობით ევროპული ენებიდან მომდინარე ლექსიკური ერთეულებია, რომლებიც რუსული ენის გზით შემოვიდნენ ქართულში.

წარმოვადგენთ რამდენიმე ნიმუშს, ახლად შემოსული სიტყვებისათვის მაგალითები ბარბარიზმების ლექსიკონიდან მოგვყავს,

ხოლო უკვე დამკვიდრებული, უცხო სიტყვები თავისივე მნიშვნელობებით – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან: **ახვისტი** ინგლ. artist – მხატვარი, შდრ.: **ახვისტი** ფრანგ. artiste – ადამიანი, რომელიც საჯაროდ ასრულებს (თამაშობს) ხელოვნების ნაწარმოებს, – მსახიობი; **კონტრიბუცია** ინგლ. contribution – წვლილი, შდრ.: **კონტრიბუცია** ლათ. contributio – 1. ომში გამარჯვებული სახელმწიფოს მიერ დამარცხებულისათვის გადასახდელად დაკისრებული თანხა. 2. ომის დროს – ფული (ან ნატურალური გამოსაღები), რომელსაც შემოსეული მტერი ახდევინებს დაპყრობილი ადგილის მოსახლეობას; **პოზიცია** ინგლ. position – თანამდებობა, ადგილი, შდრ.: **პოზიცია** ლათ. positio [მდგომარეობა] – 1. რისამე მდგომარეობა, მდებარეობა, განლაგება. || სამხ. ჯარის განლაგების ადგილი. 2. თვალსაზრისი ამა თუ იმ საკითხის შესახებ, პრინციპული დამოკიდებულება მის მიმართ; მოქმედება, ქცევა, რომელიც ამ თვალსაზრისით არის გამოწვეული. 3. კსპორტში კსხეულის მდგომარეობა, პოზა რომელიმე მოქმედების, ვარჯიშის შესრულების დროს და სხვ.

ამ შემთხვევაში ახლად შემოსული სიტყვები ახალი მნიშვნელობებით ბარბარიზმებია, ხოლო ქართულში უკვე დიდი ხნის დამკვიდრებული იგივე ლექსიკური ერთეულები, შესაბამისი სემანტიკით, ქართული ენის ლექსიკური ფონდის ნორმატიული ნაწილის კუთვნილებაა და მათ, ჩეულებრივ, უცხო სიტყვებს უწოდებენ.

2. ბარბარიზმების ლექსიკონში წარმოდგენილი ზოგი სიტყვა არ არის ბარბარიზმი, ისინი მსგავსად ზემოთ მოყვანილი მაგალითებისა, წარმოშობით უცხო სიტყვებია და დიდი ხანია რუსულის გზით შემოსულან ქართულში, რასაც ადასტურებს მათი არსებობა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, ასეთია: **ბუკეტი** ფრანგ. bouquet – 1. თაიგული. 2. გემო-სურნელების შეხამება (ღვინისა, ჩაისა, თამბაქოსი და სხვ.); **ზაღა** გერმ. saal – იგივეა, რაც დარბაზი; **სახაია** სპარ. სარაი „სახლი“, „სასახლე“, „სავანე“, მაგრამ ესეც რუსული сарай-ის გავლენით შემოსულად ითვლება – 1. ფარდული. 2. ძველი მნიშვნელობით სასახლე, სრა და სხვ. ასევე ბარბარიზმად არ უნდა ჩაითვალოს ბარბარიზმების ლექსიკონში წარმოდგენილი ზოგიერთი უცხოური წარმომავლობის სიტყვა, რომელიც ამა თუ იმ მეცნიერების დარგის ტერმინად იქცა, მაგ.: **ინსპიხაცია**, **კოდაბოხაცია**, **ფხუსტხაცია** და სხვ.

3. ბარბარიზმების ლექსიკონში წარმოდგენილი ზოგი სიტყვისათვის, ვფიქრობთ, ერთგვარად ნაჩქარევია ბარბარიზმის სტატუსის

მინიჭება. ასეთად მიგვაჩნია **აფიდაცია** ინგლ. affiliation – კავშირი და **აფილირებული** ინგლ. affiliated – დაკავშირებული, რაც სამსახურებრივ ან რაიმე საქმიანობით კავშირს აღნიშნავს რომელიმე დაწესებულებასთან ან ორგანიზაციასთან. ასევე ზოგიერთი სიტყვა (შეიძლება უკვე ტერმინიც): **ბოხღეხიზაცია** ინგლ. borderisation – საზღვრის გავლება; **კოჰაბიტაცია** ინგლ. cohabitation – თანაცხოვრება, თანაარსებობა, რაც რომელიმე კონკრეტულ პოლიტიკურ მოვლენას ან სიტუაციას უკავშირდება ჩვენში. ვფიქრობთ, ასეთი სიტყვების ზუსტი სტატუსის განსაზღვრისათვის დრო არის საჭირო, დრო გვიჩვენებს ისინი ბარბარიზმების რიგში აღმოჩნდებიან, თუ განსხვავებული სემანტიკური ნიუანსების მქონებლობის გამო მოიპოვებენ „სოციალურ სანქციას“ და ენის ნორმატიულ ლექსიკაში დაიკავენ ადგილს უცხო სიტყვათა სტატუსით.

მოხსენებაში განხილულია აგრეთვე ზოგი სხვა კონკრეტული საკითხიც ბარბარიზმებთან დაკავშირებით. ჩვენ მიერ გამოთქმული ყველა შენიშვნა, კომენტარი თუ სურვილი მხოლოდ აღნიშნული ლექსიკონის სრულყოფის მიზნითაა ნაკარნახევი, რადგან ბარბარიზმების ლექსიკონის შექმნა, განსაკუთრებით მისი ელექტრონული ვერსიის არსებობა მნიშვნელოვან მოვლენად მიგვაჩნია, სწორედ მისი ელექტრონული ფორმატი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ეს ლექსიკონი დაიხვეწოს, შეივსოს და აქტიურად შეიტანოს თავისი წვლილი ქართული ენის სინმინდის დაცვის საქმეში.

## **ნინო შარაშენიძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## **მულტილინგვური სწავლება და განათლების ენა – ცნებათა განსაზღვრისათვის**

მეორე ენის სწავლების მეთოდოლოგია გულისხმობს რამდენიმე ცნების გამოყოფას: პირველი ენა, მშობლიური ენა, ოფიციალური ენა, დედაენა, სახელმწიფო ენა, უცხო ენა, შემსწავლელის ენა, შესასწავლი ენა. ამ ჩამონათვალში არაა ერთი ტერმინი, **განათლების (სწავლების) ენა**, რომელიც მოითხოვს არა მხოლოდ მისი არსის კარგად წვდომას, არამედ სპეციალურ მიდგომას იმ კონტინგენტისათვის, რო-

მელთა პირველი ენა და განათლების ენა განსხვავდება ერთმანეთი-საგან. ამგვარი შემთხვევები მომრავლდა ბოლო ხანებში, როცა საქართველოს ნაციონალური უმცირესობით დასახლებულ რეგიონებში ჩნდება ქართული სექტორი ან ქართული სკოლები. ეს შეიძლება არ იყოს ქართული განათლების სისტემის ძირითადი მიმართულება ამ რეგიონებში, თუმცა ნამდვილად არის საზოგადოების დაკვეთა. მას გარკვეული პოზიტიური შედეგებიც აქვს, რადგან წარმატების შემთხვევაში გაცილებით უფრო სწრაფი და თვალსაჩინოა საზოგადოებაში ინტეგრირება და ენა აღარ ვლინდება წარმატების ხელისშემშლელადაც. ამდენად, ეს ტენდენცია შესაძლოა მომავალში უფრო გამოიკვეთოს. აუცილებელია ამ პროცესებს მზად შეხვდეს ქართული განათლების სისტემა და ამ რეგიონებისათვის შეიქმნას ისეთი კონცეფცია, რომელიც არაერთ საკითხს გაითვალისწინებს. მოხსენებაში განხილული იქნება წარმოქმნილ პრობლემათა მოგვარების რამდენიმე გზა.

## **ნარი ჩხაბერიძე**

*საქართველოს გექნიკუხი უნივერსიტეტი*

### **ქართული საღვთისმეტყველო ტერმინ „ჟამისწირვისა“ და „მერმისის“ განსაზღვრისათვის**

წარმოდგენილ საკონფერენციო თემაში ვმსჯელობთ **ჟამისწირვის**, როგორც ღვთისადმი დროს შეწირვის, პროცესზე. **ჟამის** (დროის) ღვთისადმი გონივრული შეწირვა ხდება **ჟამისწირვისას**, როცა ქრისტესთან თანამყოფობას ვცდილობთ გონის სრული მობილიზება-კონცენტრაციით, ანუ სრულიად ვუძღვნიტ ჩვენს ცნობიერებას ღმერთს იმ დონეზე, რომ სხვა ყველაფერი ამსოფლიურისგან მაქსიმალურად ვთავისუფლდებით და ვცდილობთ, მთლიანად ვეკუთვნოდეთ უფალს.

ამდენად, **ჟამისწირვის** ტერმინოლოგიურ-შინაარსობრივი გაგება მიუთითებს ღვთისადმი დროის შეწირვაზე. რამდენადაც ვწინრავთ დროს ღმერთს, იმდენად ვუახლოვდებით მას, თავდება დრო და უჟამობაში (უდროობაში) გადასვლისას, ვუერთდებით ღვთაებრივ მარადისობას, რასაც ქართველი კიდევ ერთი, ძალიან ლამაზი და მეტად მნიშვნელოვანი ტერმინით – **მერმისით** აღნიშნავს. რაც, ამავე დროულად ნიშნავს „**მერვე დღეს**“, ანუ იმავე მარადისობას.

როგორც ვიცით, ბიბლიური ათი მცნებიდან ადამიანს ეძლევა ცხადი მითითება დროსთან მიმართებით, რომ: ექვს დღეს იქმოდეს, რასაც იქმოდეს და წმინდა ჰყოს დღე იგი შაბათი. ჩვენთვის ნიშანდობლივია, რომ ამ დღის იმაზე მეტად წმინდაყოფა შეუძლებელია, ვიდრე მისი უფლისადმი მიძღვნა-შენიშვნაა. როგორც თეოლოგები ამ საკითხზე წმ. მამებზე დაყრდნობით მსჯელობენ, „მეშვიდე დღე“ ამჟამადაც გრძელდება, ხოლო საყოველთაო აღდგომის შემდეგ კი, დადგება მარადიული **„მერვე დღე“**, ანუ მომავალი საუკუნო სიცოცხლე.

**„მერვე დღე“**, იმავე მერმისის მნიშვნელობით არის ჩვენს ენაში მოხსენიებული. როდესაც ფიზიკური დრო, რომელიც ჩვენთვის ღვთისგან ბოძებული უნიკალური მოცემულობაა, ჩვენ მიერ შეინიშნება, მიეძღვნება უფალს, ამით ჩვენ ვუკავშირდებით **მერმისს**. შესაბამისად, „მეშვიდე დღიდან“, გადავდივართ **„მერვე დღეში“**. შინაარსობრივად, სწორედ ამ პროცესს შეესატყვისება ჩვენ მიერ განმარტებული ტერმინი **ჟამისწირვაც**, რასაც ადასტურებს საღვთო ლიტურგიის კოსმოგონიურ-ესქატოლოგიურობაც, რაც თეოლოგიურად ნიშნავს, რომ ევექარისტიკაში ერთიანდება დასაბამი და დასასრული.

ამრიგად, **„ჟამისწირვისა“** და **„მერმისის“** ურთიერთმიმართება საღვთო ლიტურგიის, როგორც კოსმოგონიურ-ესქატოლოგიური მოვლენის, აღმნიშვნელი შინაარსის ქართული ტერმინოლოგიური ასახვაა, რითაც ეს ორი ორიგინალური საღვთისმეტყველო სიტყვა შესანიშნავად ახერხებს ლიტურგიკული ღვთისმსახურების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შინაარსობრივი ფუნქციის გადმოცემას – დროის ღვთისადმი შენიშვნით, **ჟამისწირვით** მარადისობასთან, **მერმისთან** შეერთებას.



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა